ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 296

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთისთვის, ოთხი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, მესხეთის ქუჩის მონაკვეთს, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთს (მესხეთის ქუჩის მონაკვეთი, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად), ოთხ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

1:2,000
სვიმონ კლდიაშვილის ქ.
X=487259 Y=4615920
X=487486 Y=4615900
I შეს.
X=4487519 Y=4615851
X=487635 Y=4615835
X=487371 Y=4615847
X=487468 Y=4615835
I ჩიხი
II შეს.
სვიმონ კლდიაშვილის ქ.
X=487526 Y=4615808
X=487480 Y=4615798
III შეს
X=487541 Y=4615766
IV შეს
X=487457 Y=4615745
X=487567 Y=4615728